საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარიელნო ყველა ქვეყნისა შეერთდით

კვირა 20 თებერვალი 1921 წ.

ალითობა

ფასი 50 მანეთი

გაზეთი დიაბ თვეში 1200 მანეთი, ტალონ [illegible] ფასად 50 მანეთი, განცხადების ფასი ხაზი [illegible] 30 მანეთი [illegible] 20 მანეთი, [illegible] ბრივი ზომის (10 [illegible] 2) 1000 მანეთი. [illegible] განცხადება [illegible] ქართველის ქ. № 4. [illegible] № 18-თან, [illegible] 16—76, [illegible] 16—62

№ 39 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა № 39

გენერალური შტაბის ცნობა

თფილისი, თებერვლის 19.

ღამით, 18—19 თებერვალს, მტერმა დიდი ძალებით შემოუტია თფილისის მიდამოებში ჩვენს პოზიციებს.

მთელი ღამე გაგრძელდა სასტიკი ბრძოლა. მტერი უკუგდებულ იქნა დიდის ზარალით. ის უწესრიგოთ გარბის. მტრის დევნა გრძელდება. ჯერ-ჯერობით წამოვიყვანეთ 1000-დე ტყვე.

— —

ღამით თებერვლის 18—19-ს მტერი დიდი ძალებით ეკვეთა ჩვენს პოზიციებს თფილისის შემოსავალში. მთელი ღამე სასტიკი ომი სწარმოებდა. დილით 19 თებერვალს მტერი სრულიად დამარცხდა და უწესრიგოთ გარბის. მტერს დიდი ზარალი მოუვიდა. ჯერ-ჯერობით ხელში ჩაგვიგარდა ათასამდე ტყვე. მტრის მხარეზე დიდძალია დახოცილი.

გამარჯვება!

27 იანვარს მსოფლიოს ბედის ბატონ-პატრონთ ეღიარეს, რომ საქართველოს დამოუკიდებელი არსებობა შეუძლიან.

19 თებერვალს საქართველომ დაუმტკიცა ქვეყანას, რომ მას შეუძლიან მსოფლიო მნიშვნელობის როლიც შეასრულოს. ის, რაც მოხდა ამ დღეს ოქროს ასოებით დარჩება აღბეჭდილი მსოფლიო ისტორიის ფურცლებზე. თფილისის მთებზე გამაგრებულმა საქართველომ სასტიკად დაამარცხა კომუნისტური იმპერიალიზმი, დემოკრატიულმა წყობილებამ დაამარცხა დიქტატურაზე დაყარებული წყობილება, პაწია, მაგრამ მთელი ეროს ხელმწიფებაზე დამყარებულმა სახელმწიფომ დაამარცხა დიდი, მაგრამ უმცირესობის ძალადობაზე დაყრდნობილი სახელმწიფო. ორი მსოფლიო იდეა შეეტაკა ერთმანეთს თფილისის ბეჭებთან: დემოკრატიზმი და უმცირესობის დიქტატურა. პირველი იდეის მატარებელი თფილისის მთებზე გამაგრებული ჯარი მარტო თითონ არ იბრძოდა: იგი გრძობდა, რომ იგი მხოლოდ მოწინავე რაზმია თფილისის და მთელი საქართველოს დემოკრატიისა. იგი შეურყევლად იყო დარწმუნებული, რომ, თუ მას მტერი სძლევს, მას მოეხმარება მთელი თფილისი და მთელი საქართველო, როგორც ერთი კაცი. დიქტატურის, ძალადობის მატარებელი ჯარი, პირიქით, მარტო-მარტო იყო ბრძოლის ველზე: მას გულს არ უმაგრებდა არავისი სიყვარული; სადაც ის გაივლიდა, ირგვლივ წყევლა-კრულვის მეტი არა ესმოდა რა. და რა თქმა უნდა, რაც უნდა რიცხვმრავალი ყოფილიყო ეს ძალადობის და დაპყრობის მიზნით შემოკრული ლაშქარი, იგი ადვილათ ვერ სძლევდა თავის მიწა-წყალზე გამაგრებულს, თავდაცვის იდეით გამსჭვალულს ჯარს.

საქართველოს მინდვრებზე ერთმა მსოფლიო იდეამ დაამარცხა მეორე. უმცირესობის დიქტატურის იდეამ ჯერ-ჯერობით, მართალია, ნაწილობრივ მარცხი განიცადა, მაგრამ ამ ნაწილობრივს მარცხს უნდა მიჰყვეს მისი საბოლოო მარცხიცა ის, რაც საღანლულის მინდორში მოხდა 19 თებერვალს, გადიქცევა საჭვითა რეაქციასა ასრულის დასაწყისად საქართველოს დემოკრატიის გამარჯვება გამოხმაურობას ჰპოვებს ყველა იმ ეროებში, რომლებიც გმინავენ „წითელ“ მტარვალთა მძიმე ნალის ქვეშ. ამის პირველი ნიშნები უკვე დაწყებულია: საქართველოს სიმტკიცემ უკვე იმოქმედა სომხეთზე, რომელსაც გაურეკია ეროვნიდან საბჭოთა მთავრობა. მას აჯანყებებს უწყობს ადერბეიჯანის მუსულმანობა. მას დიდი ხანია ებრძვის დაღესტანი.

19 თებერვალი უბედნიერეს დღეთ ჩაიწერება საქართველოს ისტორიაში. ის სიხარული, რომელიც უკრთოდა ამ დღეს რუსთაველის პროსპექტზე გამოფენილს მთელს თფილისის ხალხს, წმინდა სიხარული. ეს არის სიხარული იმ ერისა, რომელიც გრძნობს თავის საქმის სიწმინდის, გრძნობს, რომ მის მხარეზე არის სინდისიერება, სამართალი და უმაღლესი საკაცობრიო იდეალები.

ვერ გადმოვლენ!

გუშინ ორი დარაზმული და შეიარაღებული ძალა პირისპირ შეხვდა თფილისის მიდამოებში.

ერთის ხმრივ იდგა საქართველოს ბრძოლაში დახელოვნებული და პოლიტიკურად მომწიფებული თავის არსებობის დემოკრატია. მეორეს მხრივ, ახლად გაკომუნისტებული, კოლჩაკ დენიკინთან ადვილ გამარჯვებას ჩვეული საჭვითა მხედრობა. ის ეხმარებოდა სოხეთს საქართველოს დასაპყრობათ და მისი დედა-ქალაქის განადგურებას ისახავდა მიზნად.

მომენტი ისტორიული და საბედისწერო იყო ორივე მხარისათვის, არა მარტო ისტორიულად, არამედ ფსიხოლოგიურადაც. კითხვა იდგა იმაზე, თუ რომელი ძალა უკარნახებდა თავის ნებისყოფას მოწინააღმდეგეს, ვინ გააბარებდა თავის მეგობრებს, ვინ შთაანერგავდა საჭირო ენერგიას მომავალ ბრძოლისთვის შეიარაღებულ მოპირდაპირე ძალებს.

ამ პირველ დიდ ბრძოლაში სასტიკად დამარცხდა „კომუნისტური“ ლაშქარი. ვერ უშველა მას ვერც ერევნის ბეგობრებმა, ვერც მესამე ინტერნაციონალის ლოცვა-კურთხევამ. უდიდესი დისციპლინით, თავის სიმართლის სრული და ურყეველი შეგნებით, შეუდრეკელი რევოლიუციონური ნებით თანამედროვე მოწინავე დემოკრატიამ უკუაგდო მისი დედა-ქალაქიდან ავანტიურად მოთარეშე ურდოები.

დღემდის ისინი, მათ მიერ გაბრიყვებულ ბორჩალოს მაზრის ზოგიერთი ჯგუფების დახმარებით და თავისი ძოავალ რიცხოვნობის წყალობით წინ მოიწევდნენ და თფილისის მაღლობებს მოადგნენ.

დღეიდან მათ უკან აბრუნებიეს პირი და ხათლად უთხრეს: ვერ გადმოხვალთ, თბილისი არ არის ერევანი, მისი დემოკრატია არ ჰგავს დაბეჩავებულ და თქვენ მიერ გაბრიყვებულ სომხის ხალხს!

ბ. თეკლათელი.

შთაგეჭდილებანი

ეს რამდენიმე დღეა თფილისი გაფაციცებით ემზადება თავდაცვისათვის. ის ხან მომციხარეა, ხან მიღუშული. ფრონტზე საქმის ცუტათი გამოსწორებაც კი მას სრულიად ახალისებს. თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ ყველას ერთნაირათ არ აინტერესებს თფილისის სვებედი. მცხოვრებთა ერთ ნაწილში, როელიც მოსულ ელემენტებისაგან შედგება და არაფერი საერთო არ აქვთ ჩვენს ცხოვრებასთან, გვეღვივით სისინებს, მის დაცემას ცის მანანავით შეხატრის და ამისათვის ათასგვარ პროვოკაციულ ხმებს ავრცელებს. ულირს სტუმრებს უნდათ ჩვენ ხალხს გული აუცრუოს რესპუბლიკის დედა-ქალაქის დაცვაზე და მისი დაცემით დაცინონ თვით რესპუბლიკა. ამ მოღალატეებს ყველა ხედავს, მარა მათ შესახებ ამ დღეებში მაინცა და მაინც არავინ ლაპარაკობს. თფილისის დემოკრატიას ამისათვის ახლა არ სცალია. ის მთელი თავისი ძალონით, მთელი თავისი არსებით გამარჯვების ორგანიზაციას აწყობს: მოხალისეებს აგროვებს, სახელდახელოთ ჯარებს ნაწილებს ადგენს, პროვინციას ენერგიულათ მოუწოდებს რომელიც ამ მოწოდებაზე ეთანხმულოვან გაძოძახილს იძლევა, დაღლილ ჯარისკაცებსა და გვარდიელებს ზურგში ასვენებს, რომ სახელოვანი მებრძოლნი მაკვლავ ფრონტს დაუბრუნდენ.

თფილისი უნდა დავიცვათ, უეჭველათ უნდა დავიცვათ, მას მტერს, თუ გინდ დროებითაც ვერ დავანებებთ—ასეთია ყველასი ერთსულოვანი გადაწყეტილება. ეს სულისკვეთება ელექტრონის ტოკივით ედება მთელს რესპუბლიკას და პროვინცია ქუდზე კაცს უძახის. და თფილისს აწყდება სხვადასხვა ადგილებიდან ბათალიონები.

17 და 18 თებერვალს მტერი აქტივობას არ იჩენს. ცხადია ის დაიღალა, ბრძოლაში ძალზე დაზიანდა, რომ ბალშევიკებმა აქ ვერ გაბედეს იმის გამეორება, რაც ჩაიდინეს როსტოვში, ნოვოროსისკში და სხვაგან, ე. ი. ვერ შეიჭრენ ქალაქში ცხენოსანი რაზმებით, რომელიც მას უეჭველათ ჩვენზე მეტი ჰყავს.

თფილისის დამცველებს საშუალება მიეცათ ძალები მოეკრიფათ, 6—7 დღის დაუსვენებლივ ნაომარი ხალხი, უძილო და უჭმელი დაესვენებიათ. ამ შეცდომით მტერმა გააძნელა თავისი ამოცანა და გაადვილა თფილისის დაცვა.

18 თებერვალს უკვე აშკარა გადატეხა ეტყობა ფრონტზე ჩვენ სასარგებლოთ. ფრონტი გამაგრდა, გამტკიცდა. თფილისის აღმოსავლეთით აღიმართა საიმედო კედელი ფოლადისა. პროვინცია კი განაგრძობს თავის დახმარების მოწოდებას.

დღამდე 18 თებერვალი. თფილისს არ სძინავს. სადამოს საათებლეში დეპუტატებისა და მთავრობის წევრების თათბირია. ყველა გრძნობს რომ ხვალინდელი დღე გადამჭრელი იქნება.

მთვარიანი ღამეა. მტერმა აღბათ დაიცვენა, ახალი ძალები მოიშველია და ხვალ თფილისის კარებს გააფთრებით ეკვეთება: ბაქო და მოსკოვი აღბათ წინასწარ დღესასწაულობს თავის გამარჯვებას.

ხვალ დილით გადაწყდება თფილისის ბედი. და განა მარტო თფილისის ბედი?

19 თებერვალს აქ, ქალაქი თფილისის კარებთან უნდა გადაეჭრას საერთაშორისო პოლიტიკის ერთი უდიდესი პრობლემა. აქ დამარცხება ქართველი ჯარის—ნიშნავს მთელ ამიერ-კავკასიაში იმპერიალისტური მადის გამარჯვებას, სხვადასხვა ერების დამონავებას, მათ თავისუფალ ნებისყოფის ფეხქვეშ გათელვას. ის მიმართული იქნება აგრეთვე ოსმალეთის ნაციონალური მოძრაობის წინააღმდეგაც.

ქართველი ჯარის გამარჯვება, პირიქით, დასაწყისი იქნება ბალშევიკური ქუსლით გათელილ ერთა და ახალგაზდა სახელმწიფოთა კვლავ აღდგებისა, მას აუცილებლათ გამოსცმაურეთ ადერბეიჯანი, თავისუფლების მოყვარული მთა, ყუბანი, დონი და სხვები. ამხანაგთათ საქართველოს რესპუბლიკის ბედს აქვიდროთ ეხისკვება ჩაგრულ ერთა და პროვინციათა სოციოკულ ინტერესები. ამიტომაც ვხედავთ ჩვენ მოხალისეთა შორის თათოეს, ყუბანის ყაზახებს, ლეკებს, ინგუშებს და სხვებს. საქართველოს საქმეს ყველა ეხები დღეს თავის საკუთარ საქმეთ სთვლიან და ბრძოლის სისხლს დვრიან. ისტორია იშვიათად დააკისრებს ერს იმაზე უფრო კეთილშობილურ როლს, როგორიცაა როლი ამ მოძრაობაში ახალგაზრდა საქართველოსა. და რაც აღსანიშნავია ეს—ის, რომ ბალშევიკების მოახლოვება თფილისთან, მისი დროებითი გამარჯვება არავის გამარჯვებად არ მიჩნია. არ მიჩნია ის ასეთად არც ქართველ ხალხს. ჯარისკაცი და გვარდიელი, რომელიც მთელი კვირის განავლობაში გახეშეფლივ იბრძოდა, რომელსაც ამ ბრძოლაში არა ერთი და ორი საუკეთესო ახლანაგი დაეღუპა, თავის თავს დამარცხებულათ სრულებითაც არ თვლის, გამარჯვების იმედით და ინსტიკტურათ თავისი დიდი ისტორიული როლის შეგნებით ეკვეთება ხვალ გათენებისას ბატარა საქართველოს შვილები „წითელი“ რუსეთის ლაშქარს. ქართველმა ხალხმა ხმლით უნდა გასჭრას და გადალახოს აღმოსავლეთის დიდი საკითხის ერთი უდიდესი პრობლემა.

ყველა გულის ფანცქალით მოელის 19 თებერვალს.

შუა ღამე გადავიდა. მოლოდინზე ადრე დაიწყო ბრძოლა. ორ საათზე უკვე დაიგრიალა ზარბაზნებმა დაიქექეს თოფებმა და ტყვიამფრქვევებმა. სროლა დროგამოშვებით წყდება, მარა მხოლოდ იმისთვის, რომ კვლავ მეტის სიძალერით განმეორდეს. ქალაქი სულ განაბულია.

რა მოხდება?

ვაი თუ რომელიმე მხრიდან შემოიჭრეს მტრის ცხენოსანი რაზმი და ზურგში არევ-დარევამ მოახდინოს? არავის სჯერა, რომ მტერი ამით გაიმარჯვებს, მარა მაინც ყველას ეშინია ფრონტი არ მოიშალოს, მას ხელი არ შეეშალოს.

სადგურზე ვართ, ეშელონები საჩქაროთ გადმოდიან ვაგონებიდან, ეწყობიან მწკვრივ რაზმებათ და გაჩქარებით მიდიან ფრონტისკენ. რკ. გზა ყველაზე მეტად ღელავს. ეს არც გასაკვირია. რკ. გზის პროლეტარიატს ყველაზე მეტი მსხვერპლი მიეცა ფრონტისთვის თავისი სისხლით და შრომით.

მარა აი მოვიდა ვ. გოგუაძის დეპეშა სადგურზე. ის ცოლს უთვლის სასითბურო ფეხსაცმელი გაუგზავნოს და ატყობიებს, რომ მტერი უკუ იქცა საშინელი ზარალით, დასტოვა ბევრი მკვდარი და ტყვეები. ელვის სისწრაფით მოედვა ეს ქალაქს. ქუჩა გამოცოცხლდა, სახე გაუბრწყინდა. ბევრი ცდილობს ფრონტი თავისი საკუთარი თვალით დაათვალიეროს. გამარჯვება რომ ნამდვილი და დიდია ამაში ეჭვი არავის შესდის.

ჩვენც ფრონტისკენ მივეშურებით, ქუჩები გაჭედილია ხალხით. თათრის მოედნიდან იწყება ჩვენი ჯარების მიმავალი მწკვრივი ბათალიონები. ჯარისკაცები, გვარდიელნი, მოხალისენი—ყველა ერთნაირათ აღფრთოვანებულია. ვესალმებიან, ვესალმებით. გაუმარჯოს ჩვენს ჯარსა და გვარდიას!—გაუმარჯოს საქართველოს!—გვეპასუხებენ. აი მივადგეთ კიდეც იმ ადგილს, სადაც თფილისის ბედი გადასწყდა. მკვდრებით (ძოწინააღმდეგეთა) გვამებით მოფენილია არეული. ეტყობა ბრძოლა სასტიკი ყოფილა. როგორც გვითხრეს ყოფილა კოიტიკული მომენტები. როცა ბატარეია თითქმის ხელთ იგდეს მტრებმა, როცა გორის გვარდიას ყოველ მხრიდან გარა შემოერტყნეს. ამ ბრძოლის ცენტრში ჩვენი საყარაულო პოლკი იყო. ჯარის-კაცებს დიდი სიმხნევე გამოუჩენიათ. როგორც სჩანს, მტერი, მოდიოდა საკმაოთ სქელი კოლონებით, მარა მოიერიშეთა ტალღები იცელებოდა თოფების მწყობრი სროლით და ტყვიისფრქვევლთა მუშაობით. გათენებისას გამარჯვების სასწორი ჩვენკენ გადმოიხარა. და აი შედეგი: გახადეთ ეული დივიზია, დაზოცილთა გვამები, ბლომად წამოყვანილი ტყვეები, მიტოვებული თოფები, ყუმბარები და სხვ.

ბრძოლთა ეტუზიაზმი აუწერელია. ვბრუნდებით, ქუჩებში ტევა აღარ არის. თფილისს, ჯერ არ უნახავს ამდენი ხალხი, ასე გახარებული. ასე აღტაცებული.

ბრძოლა გრძელდება მარჯვენა და მარცხენა ფრთაზე. მტერმა ალბათ არაკი იცის კარგათ, რა მოუვიდა მის ჯგუფს, მის იმ ძალას, რომელიც დილის 7 საათზე თფილისში უნდა შესულიყო გამარჯვებული.

ბრძოლა გრძელდება!

ვისი გამარჯვებით დასრულდება ის? განა ეს საკითხავია?

განა საეჭვოა, რომ ქურდულათ შემოჭრილმა წითელმა ლაშქარმა აქ იპოვა თავისი საფლავი?

ნ. ხ.

ქუჩის სურათები

თებერვლის 19.

ზარბაზნების გუგუნი.

ზარბაზნების გუგუნში დილის 6 საათიდან ქუჩებში იწყება არაჩვეულებრივი მოძრაობა.

ყველას ეტყობა ძარღვების დაჭიმვა გაურკვეული მოლოდინის წინაშე.

ყველა გრძნობს, რომ ამ რამდენიმე საათში გადასწყდება თფილისის ბედი.

არ არის ნასახი შიშისა და სასოსარკვეთის.

არის წამიერი გაურკვევლობა, წამიერი მოღუშვა. მაგრამ მას სწრაფათ აშუქებს იმედის სხივები.

ჩაივლის ქუჩაში რომელიმე ჯარის ნაწილი, ფრონტისაკენ მიმავალი, და მას ხალხი ხვდება ტაშის გრიალით და ვაშას ძახილით.

ხალხისაგან ჯარის ასეთი აღტაცებით შეხვედრა ჯარისკაცთა მომღიმარი რაინდული სახე და არწივისებური გამოხედვა ყველას უნერგავს სიხარულს და იმედს ბრწყინვალე გამარჯვებისას.

ასეთ მდგომარეობაში გადის რამდენიმე საათი.

დაახლოვებით 10 საათზე უკვე აქა—იქ არის აღტაცებული ლაპარაკი ჩვენი გამარჯვების შესახებ.

ქუჩებს კიდევ მეტი ამოძრავება და სასიხარულო მღელვარება ემატება.

ხმები გამარჯვების შესახებ უფრო და უფრო დაბეჯითებით გაისმის. დაბოლოს ოფიციალური დეპეშებით ეფინება მთელ ქალაქს ცნობა ჩვენი მამაცი მხედრობის გამარჯვებისა.

მთელ ქალაქს ეპყრობს ერთი გრძნობა ერთი აღტაცება, ერთი სიხარული.

ბევრჯერ განუცდია თფილისის ქუჩებს სიხარული და აღტაცება, მაგრამ არასდროს ის ასეთ ეკსტაზამდე არ ასულა.

ყველა ერთმანეთს ულიმის, ნაცნობი ნაცნობს ეხვევა ჭკუტის, ზოგი სიხარულით ცრემლებსაც ღვრის.

ჩაივლის ამ დროს ჯარის ნაწილი და ქუჩებს ისევ აყრუებს ტაში და ვაშას ძახილი.

დაახლოვებით პირველ საათზე თფილისის ქუჩებში გამოჩნდება პირველი წყება წითელარმიელი ტყვეებისა ბრძოლის ველიდან ახლად ჩამოყვანილნი.

ისინი მძიმე შთაბეჭდილებას სტოვებენ მნახველზე. მოდიან მღუმარეთ თავჩაქინდრულნი, დარცხვენილნი, ფერმკთალნი და ჩამოხმარი სახეებით, ეუფაიანი და დახეული ტანსაცმელებით.

„წაქცეულს არ სცემენ“...

ჩაატარებენ ტყვეებს და გამოჩნდება მუსიკით №-დან ჩამოსული გვარდია.

მიდიან ეწყობრად, მხიარულად.

ქუჩებს კლავ აქუხებს ტაშისა და „ვაშას“ ძახილი და იმედისა და გამარჯვების ხმა ეფინება მთელ თფილისს.

— —

ტყვეები მოჰყავთ...

დილის 11 საათია. რუსთაველის პროსპექტზე ავტომობილი გამოჩნდა... „წითელი არმიელის ქუდით...

ავტომობილში მჯდომთ თოფის ხიშტისთვის „დაუხურავთ“ ეს ქუდი და ისე მიდიან...

გაისმა ხმები: ბალშევიკი ტყვეები მოჰყავთო.

ცოტა ხნის შემდეგ გამოატარეს პირველი პარტია ტყვეებისა—ჩაგლეჯილნი გამურულნი.

რუსთაველის პროსპექტის ორივე მხარეზე ჩამწკრივებული ხალხი „ვაშათ“-ი ხვდება ჩვენს დარაჯებს, რომელნიც „წითლებს“ შემორტყმიან გარს. თვით ტყვეებს ზიზღით უცქერის...

„წითელი“ ტყვეები მოდიან თავჩაქინდრულნი, ღიზე-მიხდილნი...

მათი სახის გამომეტყველება, მიხვრა-მოხვრა, ბიჯი—აშკარა სურათია მათი შერცხვენის და გაბახების...

აგერ სამინისტროს შენობიდან გამოდის ნოე რამიშვილი. ჩაჯდა ავტომობილში. დაიძრა. მიჰყავთ ტყვეები... ის აჩერებს ავტომობილს და ღიმილით ეკითხება: რას გვერჩით, რისთვის მოდიხართ...

„წითლები“ უპასუხებენ: ჩვენ რა ვქნათ, მობილიზაციით გამოგვერეკეს. ბეტი გზა არ გვქონდა...

„წითელი“ ტყვეები სამდვილი შავები არიან...

— —

„ვაშა! გაუმარჯოს ჟორდანიას!..“

საერთო აღტაცებისა და ბედნიერების დროს გაჩნდა მთავრობის თავმჯდომარის ნოე ჟორდანიას ეტლი.

— ნოე ჟორდანია! ნოე ჟორდანია! —იგრიალა ხალხმა და დაიძრა შესახვედრათ.

როდესაც ეტლმა დამფუძნებელი კრების სასახლისკენ მიუხვია, გამოჩნდა ნოეს გაბრწყინებული სახე. ნოეს გვერდით იჯდა შინაგან საქმეთა მინისტრი ნ. რამიშვილი.

— ვაშა! გაუმარჯოს ჟორდანიას! გაუმარჯოს რამიშვილს!—ერთხმად აღმოხდა ხალხს აღტაცებული ძახილი და ყველანი უნებურათ გაეშურნენ იქითკენ, საითაც ეტლი წავიდა.

ნოე ქუდმოხდილი და სახე-გაბრწყინებული უკრავს თავს ბედნიერი წუთით აღტაცებულ ხალხს...

— —

აღმოსავლეთით ჩვენი ჯარები მიდიან, დასავლეთით „წითელი“ ტყვეები მიჰყავთ...

მიდიან და მიდიან ჯარები თფილისის ქუჩებით აღმოსავლეთისაკენ...

მიდის გვარდია, მიდის ჯარი, მიდიან მოხალისენი.

აი გამოჩნდა ბათომის გვარდია!

„ვაშა“ და ტაში, გაუმარჯოს საქართველოს—იძახის ხალხი.

მეომართა პასუხიც ამგვარია.

და თან დაბეჯითებით დასძენენ:

ჩვენს უკან კიდევ მოდიან..

უკვე ეფინება ქუჩებს დილის ბიულეტენები.

ჩვენ გავიმარჯვეთ.

ამ დროს მიდის რუსთაველის პროსპექტით ცხენოსანი, ქვეითი ჯარი, არტილერია, ტყვიის მფრქვეველები...

მიდიან მუსიკით, მწყობრათ, დინჯათ..

ხალხიდან ბიულეტენებს აწვდიან. მეომრები კითხულობენ იქ ჩვენი გამარჯვების ამბავს...

ეს მიდიან... მიდიან...

დასავლეთით კი მოჰყავთ „წითელი“ ტყვეები...

საკვები პუნქტები

ქალაქის გამგეობა შეუდგა ნავოლულში საკვები პუნქტის მოწყობას. პუნქტი 19 თებერვალს გაიხსნება. პირველ ხანებში ჯარებს მისცემენ აქ ცხელ ჩაის, შაქარს და პურს. პუნქტში იმუშავებენ შევარდენელნი.

— —

საქ. სახაზინო რკიის გზების სასურსათო კომიტეტმა 19 თებერვლის სასწრაფო სხდომაზე დაადგინა:

1) ფრონტისთვის დახმარების აღმოსაჩენათ მოიწყოს მთელი რიგი საკვებავი პუნქტებისა.

2) საკვებ ვაგონ პუნქტების საჭიროებისათვის გაიღოს თავისი საკუთარი წარმოების ბოსტნეულობისა და ხილეულობის კონსერვები, ლობიო, შაშხი, ხორცი, კარტოფილი, თხილი, ასანთი, პაპიროსები და თამბაქო.

4) საკვებავი პუნქტების მოწყობა ითქოს თავის თავზე და მიანდოს ეს სასურსათო კომიტეტის იურისკონსულტს დ. ჯუღელს.

5) ფრონტის დამხმარე კომიტეტს სთხოვოს უჩვენოს უკანასკნელმა ის ალაგები, სადაც საჭიროა საკვებავი პუნქტების მოწყობა.

6) გაიღოს 20 მილ. მან. საკვებავი პუნქტების გასვლელათ და საჭიროების მიხედვით გაადიდოს ეს თანხა.

ფრონტისთვის შეწირულება გროვდება

19 თებერვალს დილის 10 ს. ქალაქის გამგეობა შეუდგა ფრონტისთვის შემოწირულებათა შეგროვებას.

ქალაქში გამოვიდა რამოდენიმე ათეული ფურგონი და დროგები პლაკატებით და შესაფერი წარწერებით. ხალხი დიდის ეღფრთოვანებით სწირავს. გროვდება მრავალი შემოწირულებანი.

20 თებერვალს დილის 10 ს-დან დაიწყება ქალაქში ყულაბებით ფულის შეგროვება. საქონლის და ფულის შეგროვებას ხელმძღვანელობას გაუწევენ ქალაქის საბჭოს ხმოსნები და სხვადასხვა ორგანიზაციები. შემოწირულება მიიღება თვითმართველობაში ქალაქის მოურავთან და საბჭოს მიერ არჩეულ სპეციალურ კომისიაში.

სპეკულიანტები სამხედრო სამართალში

პირველ მოთხოვნილების საგნებზე, განსაკუთრებით პურზე და მარილზე ომის გამო ხელოვნურად ფასის აწევასათვის ქალაქის გამგეობის საზედამხედველოს აგენტების მიერ შეპყრობილია მთელი რიგი მოვაჭრეებისა, რომელთაგან ექვსი უკვე გადაეცა სამოქალაქო თავდაცვის უფროსს პოლკოვნიკ სულაქველიძის განკარგულებით სამხედრო საველე სასამართლოს.

ჩარჩ-სპეკულიანტების შეპყრობა, საზედამხედველოს აგენტების მიერ, ენერგიულად სწარმოებს. ამ მიზნით ქალაქი დაყოფილია რაიონებათ და თვითეულ რაიონში შემოღებულია მუდმივი მეთვალყურეობა.

ტყიბულის მუშეგი კვირაობითაც და დღეში 10 საათს მუშაობენ

თებერვლის 18 ტყიბულის მუშათა მრავალრიცხოვანმა მიტინგმა ერთხმად დადგინა თითოეული „სმენისათვის“ დაეწყოს 10 საათის სამუშაო დრო, იმუშაონ როგორც საქმის, ისე კვირა-ოქმე დღეებში მუშები სრულ გარანტიას იძლევიან იმისას, რომ საათბომი მასალით უზრუნველყოფენ რესპუბლიკას და იმუშავებენ იმ ამხანაგების ნაცვლად, რომელნიც მობილიზეებათ სამშობლოს დასაცავად ფრონტზე იბრძვიან.

მთიელ-აზერბეიჯანელთა განმათავისუფლებელი კომიტეტი

შინაგან საქმეთა მინისტრმა დაუგზავნა შემდეგი ცირკულიარული განკარგულება აღმოსავლეთ საქართველოს გენერალ გუბერნატორს, ეფხაზეთის კომისარიატს, მთავრობის საგანგებო რწმუნებულს ბათომის ოლქში და სამაზრო და ქალაქთა მილიციის უფროსებს.

„თან ხმად მთავრობის დადგენილებისა, მთელ აზერბეიჯანელთა კომიტეტი აღიარებულია აზერბეიჯანისა და მთიელთა რესპუბლიკის ხალხთა ნებისყოფის ჭეშმარიტ გამომხატველებად. გიბრძანებთ აღმოუჩინოთ აღნიშნულ კომიტეტს კანონიერი დახმარება აზერბეიჯანისა და მთიელთა რესპუბლიკების მოქალაქეთა ჯარში გასაწვევათ.

შინაგან საქმეთა მინისტრი ნ. რამიშვილი.

მეორე საარძიო დივიზიონის, მეორე ბ-თო საარტილარიო ბატარეის კამანდირი, აფიცრები და ჯარისკაცები მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას გსირულად დაღუპვას სოლანლულთან ბრძოლაში კაპიტან

თუმანიშვილისას

და ჯარისკაცის სტუდენტის

ნიკოლოზ კალანდარაშვილისას

და რძალების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული

გენერალ-გუბერნატორის ბრძანებები და განკარგულებანი

თფილისი, 18 თებერვალი 1921 წ.

I

ქუჩებში უსაქმო მოქალაქეების შეჯგუფება ან სეირნობა სრულიად შესწყდეს. ყოველი მოქალაქე ვალდებულია თავის საქმეს მოჰკიდოს ხელი და ვინც უსაქმოა, ბინებში გაჩერდეს.

ღამის 10 საათის შემდეგ ქუჩებში მოსიარულე კერძო პირები, თანახმად ჩემი წინანდელი ბრძანებისა, დაპატიმრდებულნი იქნენ.

შეიარაღებულ მოხალისეებს, რომლებიც ქალაქში წესიერებას იცავენ ან მილიციის ვალდებულობას ასრულებენ, ნიშნები უნდა ჰქონდეთ მარცხენა მკლავზე გაკეთებული და ყველას სათანადო მოწმობა „ხურგის“ უფროსის პოლკ. სულაქველიძის მიერ მიცემული.

როგორც მოხალისეები, აგრეთვე მილიცია შუა ქუჩებში უნდა დადიოდნენ მწყობრათ და არა ტროტუარებზე.

პოლკ. სულაქველიძეს ევალება ზემოხსენებული ნიშნების ფორმა, ყველასათვის ერთგვარი შემოიღოს და ეს დაუყონებლივ განხორციელდეს.

ამ ბრძანების შესრულების მთელი თვალყური დევნება დაეკისროს ყველა მის უფროს ხელქვეით თანამშრომლებს.

II

თფილისი, 18 თებერვალი.

ინიშნება გენერალ-გუბერნატორის თანაშემწეთ შალვა ნიკოლოზისძე მაღლაკელიძე ა/წ. 16 თებერვლიდან.

III.

თფილისი, 18 თებერვალი, 1921 წ.

დამატებით ჩემი განცხადებისა ამა წლის 13 ისა საყოველთაოდ ვაცხადებ, რომ მთელი აღმოსავლეთი საქართველო გამოცხადებულია ა/წ. 17 თებერვლის მთავრობის დადგენილებით სამხედრო წესებზე, და მექვემდებარება მე და მათზე ვრცელდება ყველა ჩემ მიერ დღემდე გამოცემული ბრძანებები.

IV

1) დამატებათ ჩემ მიერ გამოცემულ ბრძანებათა, ვაცხადებ საყოველთაოდ, რომ ყველა გასართობი, სავაჭრო თუ სხვა დაწესებულებები უნდა დაიხუროს არა უგვიანეს საღამოს 8 საათისა.

2) აკრძალულია ღვინით ვაჭრობა კლუბებში, ბუფეტებში, რესტორანებში და სასადილოებში.

3) ის პირნი, რომელნიც ამ დადგენილებას დაარღვევენ, ადმინისტრატიული წესით დაიჯარიან ან გადახდებათ 100 ათასი მანეთი ჯარიმა.

4) ეს დადგენილება ძალაში შედის დღიდან გამოქვეყნებისა.

გენ. გუბერნატორი ბ. ჩხეიძე.

ქართველი ქალები მოუწოდებენ ქართველ დედებს, რომ დღეს, 20 თებერვალს, შუადღის 12 საათზე ანჩისხატის ტაძარში გადახდილი იქნება

პარაკლისი

ქართველი ხალხის ბრწყინვალე გამარჯვების გამო.

თფილისის მცხოვრებთ სურსათ-სანოვაგე არ შემოაკლდებათ

ქალაქის გამგეობის სასურსათო განყოფილების გამგემ კ. პანიეევმა შემდეგი აუწყა საქართველოს დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელს თფილისის სასურსათო მდგომარეობის შესახებ.

მოქალაქეებს შეუძლიათ დამშვიდებულნი იყვნენ. იმის შიში, რომ სურსათ-სანოვაგე შემოგვაკლდება, სრულებით უსაფუძვლოა. ქალაქში საკმაოთ არის სურსათ სანოვაგის თადარიგი. მიუხედავათ ამისა, ქალაქის გამგეობამ 17 თებ. სხდომაზე დაადგინა: მიიღოს ენერგიული ზომები სურსათ-სანოვაგის, ესე იგი, სიმინდის, ლობიოს და კარტოფილის მოსამარაგებლათ. მომარაგებული იქნა რაც შეიძლება მეტი სურსათ-სანოვაგე. ნაყიდი სურსათი დაუყონებლივ განაწილდება მოქალაქეთა შორის სასურსათო მაღაზიების საშუალებით. დღეიდან სასურსათო მაღაზიები მცხოვრებლებზე გაჰყიდიან პურს თებ. 18 მცხოვრებთ მიჰყიდიან პურს. 150 მან. გირ.; თებ. 19 გაიყიდება მშადი გირ: 80 მან. პურსა და მშადს მცხოვრებლებს მისცემენ ნავთისა და აგრეთვე მუშათა მაგიდის ბარათებით, თვითეულ ბარათზე მისცემენ არა უმეტეს 3 გირვანქისა.

ამასთანავე მიღებულია ზომები სურსათ-სანოვაგის გაძვირების და საქონლის დამალვის წინააღმდეგ. ქალაქის გამგეობამ მიმართა პოლკ. სულაქველიძეს თხოვნით, რომ მან სასტიკ პასუხისგებაში მისცეს ყველა ის, ვინც საქონელს დამალავს ან ხელოვნურად ფასს აუწევს. დანაშავენი საგანგებო სამხედრო სასამართლოს გადაეცემიან. ამ მიზნით გაძლიერებულია ზედამხედველობა ბაზრებში და სავაჭრო ადგილებში. სპეკულიაციის შესახებ შედგენილი ოქმები დაუყოვნებლივ გადაეცემა პოლკ. სულაქველიძეს. ფასების გადიდებასთან ბრძოლაში უშუალო მონაწილეობას მიიღებენ აგრეთვე ხმოსნები, რომელთაც მინდობილი აქვთ ვაჭრობაზე პირადი ზედამხედველობის გაწევა თავიანთ რაიონებში.

ვაჭრებთან მომხდარ გაუგებრობის შემთხვევებში მცხოვრებლებმა უნდა მიმართონ სავაჭრო ზედამხედველობის პირთ ან სასურსათო განყოფილებას. თამამად შეიძლება ითქვას, რომ თფილისის მცხოვრებთ სურსათ სანოვაგე არ შემოაკლდებათ. (სდს).

ჯაშუშების გასამართლება

(გენ.-გუბერნატორის განცხადება)

დღეს, 19 თებერვალს დილის 10 საათზე რესპუბლიკის სასამართლოს შტაბში დანიშნულია სამხედრო საგანგებო სასამართლოს სხდომა, რომელიც გააასამართლებს გენერალურ შტაბის ყოფილ აფიცრებს გოხსა და ივანოვს. მათ ბრალდებათ ჯაშუშობა და სახელმწიფო ღალატი. (სდს).

მოწოდება ტეხნიკურ ძალებისადმი

საქართველოს ტეხნიკურ საზოგადოებამ იქონია რა მსჯელობა ტეხნიკურ ძალების მიზანშეწონილად გამოყენების შესახებ. როგორც ზურგში, ისე ფრონტზე, გადასწყვიტა მოახდინოს აღნუსხვა ტეხნიკურ ძალებისა და დაავალა ყველა სპეციალისტს — ინჟენერს, ტეხნიკოსს, მიწის-მზომელს, ათისთავს, ხელოსანს და სხ., რომელნიც ამ ჟამად თავდაცვის საქმეში ჩაბმული არ არიან,—დაუყონებლივ გამოცხადდენ რეგისტრაციისათვის ტეხნიკურ საზოგადოებაში. სიები წარგზავნილი იქნება სამხედრო სამინისტროს სამხედრო-საინჟენერო სექციის უფროსთან, სადაც მიმართული იქნება ყოველგვარი მოთხოვნილება ტეხნიკურ ძალებზე და რომელიც თავდაცვის საბჭოს საშუალებით გამოიწვევს საჭირო პირთ.

რეგისტრაცია ხდება პოლიტეხნიკურ სასწავლებელში, დიდი მთავრის ქ., № 70.

საქართველოს ტეხნიკური საზოგადოება.

ფულის შეგროვება ყულაგებიდან

თფილისის ქალაქის გამგეობა აცხადებს, რომ 20 თებერვალს დილის 8 საათიდან ქალაქში დაიწყება ყულაბებით ფულის შეგროვება.

გამგეობა მიმართავს მცხოვრებთ მოწოდებით არ დაიშურონ თავიანთი წვლილი ჩვენი მამაცი ჯარისათვის, რომელიც იცავს მტრისაგან ჩვენს სიცოცხლეს და ქონებას.

ამერიკის კომიტეტის დახმარება.

ახლო აღმოსავლეთის დამხმარე ამერიკის კომიტეტის თავმჯდომარე კაპიტან იაროუმ ინახულა გენერალ-გუბერნატორი და განუცხადა მას, რომ კომიტეტი მზად არის ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინოს საქართველოს მთავრობას, კომიტეტს შეუძლია საკმაო რძის მიწოდება.

ფრონტის სასარგებლოთ

გენერალ-გუბერნატორი ინახულა იტალო-კავკასიის ბანკის მოსამსახურეთა დელეგაციამ, რომელმაც გადასცა მას ფრონტის სასარგებლოთ მოსამსახურეთა შორის შეკრებილი 290,500 მანეთი.

მოწოდება

შინ ნუღარ სხედხართ ვაჟკაცნო,
თოფი აიღეთ ხელშია,
მტერი მოგვადგა კარზედა,
სამშობლო განსაცდელშია!

წავიდეთ, ძმებო, წავიდეთ,
ჩავებათ ცხარე ბრძოლაში;—
ვაშა, ვინც ჩვენთან იქნება
თოფ-ზარბაზნების სროლაში!

საშვილიშვილო ხსენება,
ვინც მამულს შეეწირება,
ვინც ძირს არ დაჰყრის იარაღს,
ვიდრე არ გაიგმირება!

ქვეყნის სირცხვილით იწვოდეს,
ხალხს ვეღარ ეჩვენებოდეს,
ვინც არ წავიდეს ჯარშია
და სახლშა იმალებოდეს!

ჩვენ კი წავიდეთ, გმირებო,
ჩავებათ მტერთან ბრძოლაში;
ვაშა, ვინც ჩვენთან იქნება
თოფ-ზარბაზნების სროლაში!

გ. ქუჩიშვილი

თებერვლის 19.

ქართველ მეომრის წერილი.

ძმებო! მე უკვე ფრონტზე ვარ და მას ვდარაჯობ თოფითა:
მტერს ტყვიით ვუმასპინძლდები, მოყვარეს ვკოცნი ძმობითა.
სისხლი არ მიყვარს, მაგრამ როს არ სცხრება მტერი ვერაგი,
სახლში მეკრება, რომ ცოლ-შვილს გამიძროს კაბა, პერანგი;
თავისუფლების ყვავილი დამიჭკნოს, გამიტიალოს,
წარმტაცოს დროშა წითელი, აგერ რომ უცხოთ ფრიალობს;
მოხის ულელი დამადგას და ამიოხროს ქვეყანა,—
ამდროს გულ-გრილათ ვუცქირო მეპატივება ეს განა?
ჰო და, მეც ვიბრძვი ლომურად, საზღვარზე ვდგევარ თოფითა:
მტერს ტყვიით ვუმასპინძლდები, მოყვარეს ვკოცნი ძმობითა!
ქვეყნის ჭირს და ლხინს საკუთარ მხარ ბეჭთ მივეზიდები...
შიში რა არის, არ ვიცი: სიკვდილსაც შევეჭ დიბი!
დაცემულს—არ ვცემ, გაქცეულს—უკან არ გავეკიდები,
მაგრამ თუ ღალატს წავაწყდი—ცეცხლივით წვეკიდები!
დღეს მტერი უკვე დავამხეთ, წინ გავირეკეთ თხებურა...
ჩვენ დღეს მზე ამოგვიბრწყინდა, მათი კი—ბინდმა შებურა!

19 თებერვალი. ვ. რუხაძე.

პროვინცია თავდაცვის საქმეში

სამტრედია. 18 თებ. მთავრობის თავმჯდომარეს ნ. ჟორდანიას. მოისმინა რა სამტრედიის ქალაქის საბჭოს არაჩვეულებრივმა სხდომამ თქვენი მოწოდების შინაარსი თავდაცვის შესახებ, ერთხმად დაადგინა მხარში ამოუდგეს მთავრობას ამ მძიმე მომენტში, დაეხმაროს როგორც მებრძოლთა მიშველებით ისე სურსათ-სანოვაგის მიწოდებით. მტკიცეთ გვწამს, რომ ჩვენი ძლევა-მოსილი ჯარი და გვარდია კვლავ ნდებულად გამარჯვებულნი დაბრუნდებიან ბრძოლის ველიდან და მიღლიერი სამშობლო შარავანდედით შემოსავს მათ სახელს.

საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგი **კიკაბაძე.**

—

ოზურგეთი. თავხედურათ და მუხანათურათ მტრის თავდასხმის გამო, ჩემი თავმჯდომარეობით შესდგა თათბირი სოციალ-დემოკრატიული, სოციალისტ-ფედერალისტთა, სოც.-რევოლიუციონერთა და დემოკრატიული პარტიების წარმომადგენლებისა, რომელმაც ერთხმად დაადგინა მიესალმოს რესპუბლიკის მთავრობას და აღუთქვას მას სრული დახმარება რესპუბლიკის თავდაცვაში. გაერთიანებულმა თათბირმა მიმართა აგრეთვე გურიის ხალხს საერთო მოწოდებით, რათა განურჩევლად პარტიული მიმართულებისა მთელი ცოცხალი ძალა ფიზზე დადგეს და გაეშუროს ფრონტისაკენ სამშობლოს დასაცავათ. გაუმარჯოს საქართველოს, ჩვენს მამაც მხედრობას! გაუმარჯოს ჩვენს მთავრობას!

თათბირის თავმჯდომარე **სიო ჭანტურიშვილი.**

—

თიანეთი. 18 თებ. გაცნობებთ, რომ მთელი მაზრა ფიზზე დგას. გვარდიისა და ჯარის მობილიზაცია ბრწყინვალეთ მიმდინარეობს. დგება მოხალისეთა რაზმები. მცხოვრებლებმა შესწირეს ფრონტს 3,000 ფუთი ხორბალი და $2^1/_2$ მილიონი მანეთი. ყველა მზად არის პირველ თქვენს დაძახილზე ფრონტზე წასასვლელად. მაზრაში მშვიდობიანობაა და სულიერი სიმტკიცეა.

თიანეთის ერობის თავმჯდომარე.

—

დიდი ჯიხაიში, 18 თებ. დიდი ჯიხაიშის თემის მცხოვრებთა მრავალრიცხოვანი მიტინგი ფიცსა სდებს, რომ როგორც ერთი კაცი, ფიზზე დადგება მთავრობის დაძახილზე და უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოლებს.

თავმჯდომარე **ალ. ლეჟავა.**

(ილის ბიულეტენიდან).

საქართველოს დეპეშათა სააგენტოს ცნობა

19 თებერვალი. 1921 წ.

I

ერევნიდან მიღებულია შემდეგი რადიო: **თფილისი** „ყველა გაზეთების რედაქციებს ფრიად საჩქაროდ.

სომხეთში ფრიად მნიშვნელოვანი ამბები ხდება. განაწამები სომხის ხალხი აჯანყდა და 18 თებერვალს დილით ჩამოაგდო ბალშევიკების მთავრობა.

ბალშევიკების მთავრობა გაიქცა. მათი ზარალი დიდია. შესდგა სამშობლოს დამხსნელი კომიტეტი ვრაციანის თავმჯდომარეობით.

II

საქართველოს მთავრობის თავმჯდომარეს ნოე ჟორდანიას, ასლი საბახტარიშვილს.

სომხეთის მშრომელმა მასსამ ვერ აიტანა რა კომუნისტების მძიმე უღელი, მათი ძარცვა-გლეჯა, 18 თებერვალს დილით აღდგა როგორც ერთი კაცი, აჯანყდა და მამაცური ბრძოლით მოიშორა ბალშევიკების უღელი და აღადგინა თავის სამშობლოს მთავრობა.

ახალი მთავრობის შედგენამდე ძალა-უფლება სამშობლოს დამხსნელი დროებითი კომიტეტის ხელშია. გაცნობებთ რა ამას თქვენ და საქართველოს დემოკრატიას, სომხის ხალხი იმედოვნებს, რომ ქართველ ხალხს არ მოუხვდება იმ სამსალის შესმა, რომელიც წილად ხვდა სომხეთის დემოკრატიას. სამშობლოს დამხსნელმა კომიტეტმა თავის დეპლომატიურ წარმომადგენლად საქართველოში დანიშნა ტიგრან არტემის ძე ბეგზ დიანი; გთხოვთ აცნობოთ მას ამის შესახებ. რომ სასწრაფოდ შეუდგეს თავის მოვალეობის აღსრულებას.

სამშობლოს დამხსნელი დროებითი კომიტეტის თავმჯდომარე **გრიციანი** № 587.

—

უკანასკნელი ცნობა.

(საკუთარი კორესპონდენტისაგან)

18—19 თებერვალს ღამით $1^1/_2$ საათზე დაიწყო მტრის შემოტევა სოლანლოლის მიმართულებით დიდი ძალებით. მტრის ცდა, რომ გაერღვია ჩვენი ფრონტი, მისი დამარცხებით დამთავრდა. ბრძოლის ველზე მტერმა დატოვა მრავალი მოკლულნი, და 1000 მეტი ტყვე წითელ არმიელი. დამარცხებული მტერი გარბის უწესრიგოთ, რომელსაც სდევნის ჩვენი კავალერია.

რკინის გზების დამცველი საგანგებო კომიტეტი

თფილისი. თებერ. 18. გენერალ-გუბერნატორის თხოვნით რკინის გზების დამცველ საგანგებო კომიტეტის თავმჯდომარეობა და ყველა რკინის გზების მეთვალყურეობა იკისრა დამფუძნებელი კრების წევრმა ნოე გიორგის ძე ხომერიკმა. (სდს).

„ნითელი“ პურსანტების შეპყრობა

გუშინ, როდესაც ბრძოლის მიდამოებს ათვალიერებდნენ დამფუძნებელი კრების წევრები ნ. ხომერიკი, გ. ურატაძე, გ. ცინცაძე და სამხედრო მინისტრი პ. ჭეჭინაძე, შემთხვევით წააწყდნენ ორ წითელ არმიელს, რომელიც შეიარაღებული იყვნენ ყუმბარებით და ამაფეთქებელი პატრონებით. ისინი დაატყვევეს. აღმოჩნდენ კომუნისტი კურსანტები. გაჩხრეკის დროს უნახეს მეტად საინტერესო დოკუმენტები.

თფ. ქალაქის საგჭოს დადგენილებანი

1) შექმნილი მძიმე მდგომარეობის გამო ბურჟუაზიის მიერ დატოვებული ბინები აღრიცხვაზე იქნას აღებული მუშა-მოსამსახურეთათვის.

2) მიღებულ იქნას ყოველგვარი ზომები სასურსათო საქმის მოსაწესრიგებლათ და სპეკულიაციასთან საბრძოლველად.

—

საბჭომ თებერვლის 17-ის არა ჩვეულებრივ სხდომაზე ამოირჩია განსაკუთრებული კომისია ფრონტის სასარგებლოდ შემოწირულების შესაკრებათ. კომისიაში შედიან: ბურჯანაძე, მიკირტუმოვი, ხახანაშვილი, ჯაჯანაშვილი, კალანდაძე, ძიძიშვილი და რუხაძე. პირველი სხდომა კომისიისა შესდგა თებერვლის 12, რომელმაც დაადგინა მოიწვიონ საგანგებო სხდომა საბჭოს ყველა ხმოსნების, ფრონტის დამხმარე კომიტეტისა და ყველა საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლებისა რაიონებში შემოწირულებათა შეკრების საკითხის მოსაწესრიგებლად.

—

საბჭომ დაადგინა: 1) ფრონტის საჭიროებისათვის გადასდოს ერთი დღის შემოსავალი ქალაქის ყველა დაწესებულებების წარმოებისა და დუქნებიდან. 2) ძეხვებისა და საპნის ქალაქის ქარხნებში ერთი დღის დამუშავებული საქონელი გადაეცეს აგრეთვე ფრონტის საჭიროებისთვის; ამასთანავე გადაწყდა ქალაქის მოსამსახურენი მიეშველონ დაავათმყოფებულ მეომრების სადგურიდან საავათმყოფომდე გადმოსაყვანათ. (სდს).

რედაქტორი ალ. ...

განცხადებანი

სპეციალისტი მასწავლებლები

ამზადებენ ქართულ და რუსულ საშვალო სასწავლებლის ყველა კლასებისათვის. მიხეილის ქუჩა № 124. მიღება 3—6 ს. (3108—1—1)

ექიმი

ა. ტ. ლორის-მელიქოვი ჯიგლაძისა

ლებულობს კბილის ტკივილით ავადმყოფებს სადამოს 4—6 საათამდე, ანასტასიევის ქუჩა № 13, ტელეფონი 3—62

სამკურნალო

ელექტროხის, რენტგენის და სინათლის

მიხეილ გედევანიშვილისა

დღისით 1—2 საათ., საღ. 6—7 საათ. არის საწოლები. ...ის ქ., № 16, ტელეფ. 7—91 (1—მარტ)

ბ ა თ ო ვ ი

ექიმი

ალ. ალ-ძე თუმანიშვილი.

დაბრუნდა ძველ ბინაზე (სვიატოპოლკ-მირსკი ქ. № 31) და შეუდგა შინაგან და ნერვებით ავათმყოფების მიღებას. (11—მარტ.

ახალის ტალახით

სამკურნალო

ეკიმ

მ. ს. ზერნოვისა

კირპიჩნი შესახვევი № 13, ბელინსკის ქუჩასთან. (22 თებ.)

ანდრია ფილიპეს ...

ლაბორატორია

მინაგანი და ნერვიული ავადმყოფობანი (სპეც. ფილტვების, გულის და კუჭ-ნაწლავების) ...ელექტრონული ...ბირეტი. ...ის ქ. № ... ...ებლები დილის 11—12 საათ. და საღ. 4—7 საათ. ტელეფონი 12—46. 22—თებ.

ა. ბ. ბართანოვი

სპეციალურად კანისა და ვენერიული ...ლება (სიფილისი „606“ და „914“ შეშხაპუნება). მიიღება: დილით 8—9 საათ. საღ. 3—7 საათ. ქალები 2—3 ს. სურამის ქ. № 9, ვაგზლის ქუჩის კუთხე ...ის ...ის ...ის